

## 1. საქართველოს პარლამენტის საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები საგანგებო მდგომარეობის პირობებში

### 1.1. საქართველოს პარლამენტისადმი განცხადებით / წერილით მიმართვის წესი

ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების თავიდან არიდების მიზნით, საქართველოს პარლამენტი განცხადებებსა და ოფიციალურ კორესპონდენციას ახალი წესით მიიღებს:

- ✓ მოქალაქეთა განცხადებები მიიღება პარლამენტის სასახლეში განთავსებული სპეციალური საფოსტო ყუთის მეშვეობით; ყუთი უსაფრთხო წესით დღის განმავლობაში რამდენჯერმე იხსნება და დოკუმენტები ადრესატებს გადაეცემა;
- ✓ დოკუმენტების გაგზავნა შესაძლებელია აგრეთვე: ელექტრონულად, ელფოსტის მისამართზე: [contact@parliament.ge](mailto:contact@parliament.ge); ფოსტით, მისამართზე: თბილისი, რუსთაველის გამზირი 8, ინდექსი – 0118;
- ✓ დამატებითი ინფორმაციისათვის დაკავშირება შესაძლებელია შემდეგ ნომერზე: 032 2 28 26 24.

## 2. საგანგებო მდგომარეობის დროს კანონშემოქმედებით საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის მექანიზმები და პროცედურები

### 2.1. საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენა

საკანონმდებლო ინიციატივის, საკანონმდებლო წინადადებისა და პეტიციის წარდგენა შესაძლებელი კანონშემოქმედებითი საქმიანობის პროცედურებისა და საქართველოს პარლამენტისადმი ზემოთ დასახელებული სპეციალურის წესით მიმართვის გზით. პეტიციის, არანაკლებ 200 000 ამომრჩევლის ინიციატივის, არანაკლებ 25 000 ამომრჩევლის ინიციატივის წარდგენა შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდის - [signature.parliament.ge](http://signature.parliament.ge) მეშვეობით.

## 3. საჯარო თუ არა საგანგებო სესიის პლენარული სხდომები

საგანგებო სესიის ფარგლებში, პარლამენტის პლენარული სხდომები, გარდა დახურული სხდომისა, საჯაროდ მიმდინარეობს. საჯარო სხდომა გადაიცემა პირდაპირი ტელერადიოტრანსლაციით.

სესიისათვის თვალის მიდევნება შესაძლებელია პარლამენტის [ვებგვერდზე](#).

### პარლამენტის შენობაში ვიზიტორთა დაშვება

„ახალი კორონავირუსის შესაძლო გავრცელების აღსაკვეთად მის წინააღმდეგ ერთიანი ღონისძიებების განხორციელების შესახებ“ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის 2020 წლის 11 მარტის N1/76/20 [ბრძანების](#) შესაბამისად, შეზღუდულია პარლამენტში თემატური საჯარო ღონისძიებების, მათ შორის, ექსკურსიების ორგანიზება გარეშე პირთა მონაწილეობით.

საგანგებო მდგომარეობის მოქმედების დროს, შესაძლებელია შეიზღუდოს საქართველოს პარლამენტის სასახლეში შემოსასვლელი საშვების დაშვება.

#### **ჩართულობა პარლამენტის წევრის საქმიანობაში**

საგანგებო მდგომარეობის დროს პარლამენტის წევრისადმი განაცხადით/წერილით მიმართვა მიმდინარეობს საქართველოს პარლამენტისადმი ზემოთ დასახელებული სპეციალურის წესით მიმართვის გზით.

წერილით ან/და განცხადებით პარლამენტის წევრისადმი მიმართვა შესაძლებელია პარლამენტის წევრის პირადი ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.

მაჟორიტარი დეპუტატისადმი წერილით ან/და განცხადებით მიმართვა შესაძლებელია პარლამენტის ვებგვერდზე მითითებული ბიუროს თანამშრომლის საკონტაქტო ელექტრონული ფოსტის მისამართის გამოყენებით.